ა) მაია ჩიღვინაძე - თსუ საგამოცდო ცენტრის უფროსი - (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თეა კანკავა- თსუ საგამოცდო ცენტრის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

გ) ელენე კაკაბაძე - თსუ საგამოცდო ცენტრის წერითი გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი -კომისიისწევრი;

დ) ანტონიდა სვანიძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პირველი კატეგორია) - კომისიის მდივანი;

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში დამკვირვებლების და ტექნიკური მუშაკების შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში დამკვირვებლის და ტექნიკური მუშაკის კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას, საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად, შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას საგამოცდო ცენტრში დამკვირვებლის და ტექნიკური მუშაკის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
2.აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და საგამოცდო ცენტრში დამკვირვებლის და ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.